

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი #95

ქ. თბილისი

2021 წელი, 24 სექტემბერი, 10:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

რევაზ სოხაძე, გიორგი ტყემალაძე, დავით უთმელიძე, დავით ჭელიძე, ვახტანგ შაქარიშვილი, ჯაბა ჯიშკარიანი,

სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი: თევდორე ისაკაძე, გიორგი გაბაშვილი (03-032124912-06/09/2021), ნიკოლოზ ვაჩიშვილი

სხდომის თავმჯდომარე: რევაზ სოხაძე

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

გაიოზ თალაკვაძე - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი

დავით ჩანქსელიანი - შპს „თბილსერვის ჯგუფის“ სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ნარჩენების მართვის დეპარტამენტის უფროსი

ოთარ ჩიტიძე - ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე

ნინო ბაგაშვილი - ს.ს.ი.პ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე

№	ს ა კ ი თ ხ ი ს დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა
1.	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №71-134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03212663-03 - 23.09.2021)
2.	„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილსერვის ჯგუფი“-ს მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის №64-108 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (საკრებულოს №12-03212581-03 15.09.2021)

3.	„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-03212526-03 09.09.2021; №12-032125922-03 16.09.2021; №12-032126324-03 20.09.2021; 12-032126621-03 – 23.09.2021)
4.	დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კილომეტრზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ N:01.72.14.013.606; N01.72.14.013.607) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 10 ივნისის N160 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032125235-03 09.09.2021)
5.	ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №81.02.13.431; №81.02.19.749; №81.02.13.432; №81.02.13.433; №81.02.13.435; №81.02.19.754; №81.02.13.695; №81.02.13.852; №81.02.13.851; №81.02.13.845; №81.02.19.748) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032125234-03 09.09.2021)
6.	„ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში; ქალაქი თბილისი, სოფელ თხინვალა, იოსებ კეჭაყმაძის V შესახვევი, №30-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №72.16.15.511; №72.16.15.587; № 72.16.15.238) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03212605-03 17.09.2021)
7.	ქალაქ თბილისში, სულხან ცინცაძის ქუჩა №24ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.17.002.033) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032126049-03 17.09.2021)
8.	ქალაქი თბილისში, სოფელ ტაბახმელაში; ქალაქი თბილისი, სოფელი ტაბახმელა, გიორგი კვინიტაძის ქუჩა №2, №6, №10-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №81.02.03.467; №81.02.03.468; №81.02.93.330; №81.02.03.733; №81.02.03.558; №81.02.03.425; №81.02.03.426; №81.02.98.911) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03212641-03 21.09.2021)

9.	ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, სამთავრობო რეზიდენციის ტერიტორია, ზონა „ა“, სტალინის ქუჩა, ფიროსმანის ქუჩა, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №№01.20.01.119.007; 01.20.01.119.009; 01.20.01.089.084; 01.20.01.119.006; 01.20.01.119.004; 01.20.01.119.002; 01.20.01.089.087; 01.20.01.089.085; 01.20.01.109.081; 01.20.01.109.084; 01.20.01.109.085; 01.20.01.109.087; 01.20.01.110.028; 01.20.01.110.029; 01.20.01.110.030; 01.20.01.119.005; 01.20.01.119.003; 01.20.01.119.001; 01.20.01.089.089; 01.20.01.109.094; 01.20.01.088.131; 01.20.01.109.080; 01.20.01.110.023; 01.20.01.110.026; 01.20.01.110.027; 01.20.01.110.025; 01.20.01.088.134; 01.20.01.109.083; 01.20.01.109.092; 01.20.01.109.093; 01.20.01.109.091; 01.20.01.088.133; 01.20.01.088.132; 01.20.01.089.091; 01.20.01.089.090; 01.20.01.089.088; 01.20.01.089.086; 01.20.01.110.024; 01.20.01.110.031; 01.20.01.109.086; 01.20.01.109.089; 01.20.01.109.090; 01.20.01.109.082; 01.20.01.109.079; 01.20.01.109.078; 01.20.01.109.088) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცებისთაობაზე (საკრებულოს №12-032126355-03 20.09.2021)
10.	ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი, II მ/რ, I კვარტალი, კორპუსი №7-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №01.14.01.007.399; №01.14.01.007.380-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032126356-03 20.09.2021)
11.	ქალაქთბილისში, კახეთის გზატკეცილზე, ორხევის ხიდის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ნაკვ. 003/021) (საკადასტრო კოდები: №01.19.24.003.066; №01.19.24.003.067) საქალაქო ინფრასტრუქტურის მომსახურებისა და სასაწყობო გამოყენების ობიექტების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის პროექტის დამტკიცებისთაობაზე (საკრებულოს №12-03212632-03 20.09.2021)
12.	ქალაქ თბილისში, კუკური გოგიაშვილის ქუჩა, №9, №7, №11, №13-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №01.72.14.013.838; №01.72.14.013.630; №01.72.14.013.691; №01.72.14.013.617) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცებისთაობაზე (საკრებულოს №12-03212633-03 20.09.2021)
13.	ქალაქთბილისში, დაბა კოჯორში, სოფელ კიკეთში; ქალაქი თბილისი, სოფელი კიკეთი, ალექსანდრე ცომაიას ქუჩა №9-ში; ქალაქი თბილისი, სოფელი კიკეთი, ივანე გიგინეიშვილის ქუჩა №12-ში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: №81.01.02.595; №81.01.02.580; №81.01.02.618; №81.01.02.819; №81.01.02.590; №81.01.02.880; №81.01.02.581; №81.01.02.879; №81.01.02.857; №81.01.02.599; №81.01.02.945) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სააგარაკე-დასასვენებელი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032125361-03 10.09.2021)

14.	ქალაქ თბილისში, აეროპორტის გზაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ნაკვ. 14/026) (საკადასტრო კოდები: №01.19.25.014.031; №01.19.25.014.032) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032125366-03 10.09.2021)
15.	“ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ლისის ტბისმიმდებარედ, სოფელ ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.14.17.001.184, №01.14.17.001.185, №01.10.18.006.134, №01.10.18.006.133) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №304 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032125233-03 09.09.2021)
16.	„ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, კრწანისის ქ. №72, №74-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.18.06.015.057; №01.18.06.015.153) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 აპრილის №85 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03212603-03 17.09.2021)
17.	„ქ. თბილისში, დიდგორის რაიონში, სოფელ წავკისში შ.პ.ს. „ზევის“-ს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე გარდაბნის რაიონის ქალაქთმშენებლობის, არქიტექტურის, მშენებლობისა და საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამსახურის მიერ 19.10.06 წ. შეთანხმებული საცხოვრებელი კომპლექსის „წავკისი ველის“-ს განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03212604-03 17.09.2021)
18.	„ქალაქ თბილისში, დიდმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.009.162), მრავალფუნქციური კომპლექსის (კინოსტუდია, საფაქრო-საგამოფენო პავილიონები, რესტორანი) განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების შესახებ” ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 3 ივნისის №1143 განკარგულებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03212606-03 17.09.2021)
19.	„ქალაქ თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ნუცუბიძის ფერდობის III მ/რ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ნაკვ. №25/62) საცხოვრებელი კომპლექსის დასაპროექტებლად განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ” ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2010 წლის 17 დეკემბრის №01/2883 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032126353-03 20.09.2021)
20.	ქალაქ თბილისში, დიდ ლილოში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N81.08.31.744; N81.08.31.587; N81.08.31.331) და მიმდებარე დაურეგისტრირებულ ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს № 12-032124240-03 - 30.08.2021)

კომისიის თავმჯდომარე ბატონი რევაზ სოხაძე მიესალმა კომისიის წევრებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ დღის წესრიგი დაამტკიცა.

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №71-134 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-03212663-03 - 23.09.2021)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს მისაღები შემოსულობების პროგნოზების გათვალისწინებით, რომლის თანახმად იზრდება არაფინანსური აქტივების კლებიდან (არაწარმოებული აქტივები (მიწა)) მისაღები შემოსავლები - 3 150,0 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 3 150,0 ათასი ლარით და შეადგენს 1 230 126,9 ათას ლარს. ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის და სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დამატებითი მოთხოვნების შესახებ წინადადებები. აღნიშნულისა და დამატებითი რესურსის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის: იზრდება საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (კოდი 01 02 05) – 11 000,0 ათასი ლარით, დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) – 2 150,0 ათასი ლარი, სარეზერვო ფონდი (კოდი 10 22) – 1 000,0 ათასი ლარი. მცირდება საქალაქო საავტომობილო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება (კოდი 06 02 11) ქვეპროგრამის ასიგნება – 11 000,0 ათასი ლარით. გარდა ამისა, დაზუსტდა სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (კოდი 10 18) პროგრამის ფარგლებში მომუშავეთა რიცხოვნობა, გაიზარდა 6 ერთეულით და შეადგენს 146 ერთეულს. ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 160 692,7 ათასი ლარის ოდენობით და ნაშთის ცვლილება 69 434,2 ათასი ლარით. შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 107 399,5 ათასი ლარის ოდენობით, აქედან: გადასახადები 696 579,5 ათასი ლარი, მათ შორის: - საწარმოთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) – 157 000,0 ათასი ლარი; - ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) – 19 000,0 ათასი ლარი; - მიწაზე ქონების გადასახადი – 16 000,0 ათასი ლარი; - დამატებული ღირებულების გადასახადი – 504 579,5 ათასი ლარი. გრანტები 211 152,6 ათასი ლარი, მათ შორის: - საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 692,6 ათასი ლარი; - მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 460,0 ათასი ლარი; - კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი 175 000,0 ათასი ლარი; - სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 35 000,0 ათასი ლარი. სხვა შემოსავლები 199 667,4 ათასი ლარი, მათ შორის: - შემოსავალი საკუთრებიდან – 10 300,0 ათასი ლარი; - სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი –

31 000,0 ათასი ლარი; - მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 48 000,0 ათასი ლარი; - სანქციები (ჯარიმები და საურავები) - 55 000,0 ათასი ლარი; - სანებართვო მოსაკრებელი - 11 500,0 ათასი ლარი; - სხვადასხვა შემოსავლები - 43 867,4 ათასი ლარი. წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის გადასახდელები განსაზღვრულია 1 230 126,9 ათასი ლარით, მათ შორის: ხარჯები განსაზღვრულია - 925 492,2 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდა - 289 075,7 ათასი ლარი; ვალდებულებების კლება - 15 559,0 ათასი ლარი. ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვრა 181 907,3 ათასი ლარით. აქტივების ცვლილება შეადგენს 235 925,7 ათას ლარს, მათ შორის: - არაფინანსური აქტივების ზრდა - 289 075,7 ათასი ლარი. - არაფინანსური აქტივების კლება - 53 150,0 ათასი ლარი. ფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს ( 69 577,4 ) ათას ლარს, მათ შორის: - ფინანსური აქტივების კლება - 69 477,4 ათასი ლარი, მათ შორის: ნაშთის ცვლილება - 69 434,2 ათასი ლარი. ვალდებულებების ცვლილება შეადგენს (15 559,0) ათას ლარს, მათ შორის: - ვალდებულებების კლება 15 559,0 ათასი ლარი. ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა (54 018,4) ათასი ლარით.

*შესაბამისად, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას მიაჩნია, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის, 1 პუნქტის, „დ.ა“ ქვეპუნქტის, 89-ე მუხლიდან გამომდინარე, აღნიშნული პროექტი გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე გასამტკიცებლად.*

2. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილსერვის ჯგუფი“-ს მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის №64-108 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (საკრებულოს №12-03212581-03 15.09.2021)

საკითხი წარმოადგინა საკითხი წარმოადგინა შპს „თბილსერვის ჯგუფის“ სამართლებრივი უზრუნველყოფისა და ნარჩენების მართვის დეპარტამენტის უფროსმა დავით ჩანქსელიანმა. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილსერვის ჯგუფი“-ს მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის მიღებულ იქნა N64-108 დადგენილება, რომელიც განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „თბილსერვის ჯგუფის“ მიერ გაწეული ცალკეული მომსახურების საფასურის განაკვეთებს, ასევე საფასურის გადახდის, გადახდისაგან გათავისუფლების და გადახდილი საფასურის დაბრუნების წესსა და პირობებს. დადგენილების მე-2 მუხლით დამტკიცებულია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილსერვის ჯგუფი“-ს მიერ გაწეული მომსახურების საფასური“ დანართი 2-ის შესაბამისად. წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ხორციელდება ზოგიერთი მომსახურების დასახელების კორექტირება და დაზუსტება. სრულყოფილისათვის უნდა დაემატოს მომსახურების ახალი სახეობები და მისი საფასურები. ასევე დანართით ზუსტდება არსებული მომსახურებები და ემატება კონკრეტული მასალების და სანათების ესკიზები. აღნიშნული

დანართის პროექტი მთლიანობაში წარმოადგენს უფრო დეტალიზებულს, რამაც თვალნათელი გახადა ყველა შესასრულებელი სამუშაო. მოცემული პროექტით იცვლება დანართში მითითებული ღირებულებები, არსებულ საბაზრო ღირებულებათა შესაბამისად. საკრებულოს დადგენილებისპროექტით,ახალი რედაქციით მტკიცდება„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილსერვის ჯგუფი“-ს მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განსაზღვრის შესახებ” ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის N64-108 დადგენილების დანართი 2.

*აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.*

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (საკრებულოს №12-03212526-03 09.09.2021; №12-032125922-03 16.09.2021; №12-032126324-03 20.09.2021; 12-032126621-03 – 23.09.2021)

კომისიამ განიხილა ქალაქ თბილისის მერის წერილებით (საკრებულოს №12-03212526-03 09.09.2021; №12-032125922-03 16.09.2021; №12-032126324-03 20.09.2021; 12-032126621-03 – 23.09.2021) წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტები „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. საკითხი წარმოადგინეს ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილეებმა ნინო ბაგაშვილმა და ოთარ ჩიტიძემ. წარმოდგენილი წერილებით, მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის გრაფიკულ ნაწილში-რუკასა (ა პუნქტით დამტკიცებული) მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული ხასიათის ფუნქციური ზონის ცვლილების 11 წინადადება და პროექტში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

№12-03212526-03 09.09.2021;

ა) ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.13.033.057) მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული შიდა კვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენის მოხსნა. მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს ამბულატორიის მშენებლობა წარმოადგენს, რაც განაშენიანების დასაშვებ სახეობას წარმოადგენს სპეციალური ზონა 1-ისთვის (სპეცზ-1). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 11 აგვისტოს N01212232743 წერილის მიხედვით, გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული შიდა კვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენის მოხსნას მიზანშეწონილად არ მიიჩნევს. ვინაიდან, ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და „მწვანე ქალაქის“ კონცეფციით განსაზღვრული ამოცანების

შესრულების მიზნით, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სარეკრეაციო სივრცეების შენარჩუნება და დაცვა, ასევე, ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების შემცირება ქალაქის მდგრადი განვითარების აუცილებელ მინიმუმამდე, სამსახურს გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული შიდა კვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენის მოხსნამიზანშეწონილად არ მიაჩნია. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.18.13.033.057) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილებამისაღება ამაზღაპრორის მშენებლობის პირობით;

ბ) ქალაქ თბილისში, ზესტაფონის ქუჩა N31-ში და ვანის ქუჩა N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.13.06.002.077, N01.13.06.002.076) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება. ვინაიდან, N01.13.06.002.077 და N01.13.06.002.076 საკადასტრო ერთეულებს ემოჯნება ხაზობრივი ნაგებობა-რკინიგზა, ადმინისტრაციული წარმოების პროცესში მოთხოვნილ იქნა სს „საქართველოს რკინიგზის“ პოზიცია ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით, რაზეც 2021 წლის 27 აგვისტოს N4072 წერილით ფუნქციური ზონის ცვლილებისა და სამომავლოდ სამრეწველო დანიშნულების ობიექტების მოწყობის საკითხთან დაკავშირებით დაფიქსირდა დადებითი პოზიცია. თუმცა, ვინაიდან, განსავითარებელი ტერიტორია ესაზღვრება რკინიგზის კომუნიკაციებს, სამუშაოების დაწყებამდე აუცილებელია მშენებლობის საკითხი განხილულ იქნას სს „საქართველოს რკინიგზაში“. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო 2021 წლის 2 სექტემბრის N01212451067 წერილით, საპროექტო ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმების წინააღმდეგი არ არის. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ზესტაფონის ქუჩა N31-ში და ვანის ქუჩა N1-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.13.06.002.077, N01.13.06.002.076) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სამრეწველო ზონა 1-ით (ს-1) ცვლილება მისაღება;

გ) ქალაქ თბილისში, ლევან რაზიკაშვილის ქუჩა N33-ის მიმდებარე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.22.006.089) და მიმდებარე ტერიტორიაზე მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) სარეკრეაციო ზონა 1-ით (რზ-1) ცვლილება. ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს სკვერის მოწყობა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური 2021 წლის 7 სექტემბრის N18-01212503127 წერილის მიხედვით, თანახმაა წარმოდგენილსაპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო 2021 წლის 7 სექტემბრის N61-01212503102 წერილის შესაბამისად, თავისიკომპეტენციის ფარგლებში არ არის წინააღმდეგი, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ N01.19.22.006.089 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთსა და მიმდებარედაურეგისტრირებელ სივრცეს, მოქმედი ფუნქციური ზონა (საცხოვრებელი ზონა 2) შეეცვალოსსარეკრეაციო ზონა 1-ით (რზ-1), მასზე შემდგომში სკვერის მოწყობის მიზნით.

*სხდომაზე გამოითქვა მოსაზრება მასზე, რომ ტერიტორიულ-სივრცითი მოწყობის გათვალისწინებით საკითხის დაზუსტების მიზნით მითითებული ზონის ცვლილების განხილვა გადადებულ იქნა.*



ა) ქალაქ თბილისში, სოფელ დილომში, ნაკ. ფიროსმანის ქუჩა N21-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.029.109) ნაწილზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა. N01.72.14.029.109საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის-რუკის მიხედვით ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) და სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება N01.72.14.029.109 საკადასტრო ერთეულის მიმდებარე არეალზე სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 9 სექტემბრის N18-012125255წერილის მიხედვით, თანახმაა საპროექტო არეალზე განხორციელდეს სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და წინამდებარე დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით, ქალაქ თბილისში, სოფელ დილომში, ნაკ. ფიროსმანის ქუჩა N21-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.029.109) ნაწილზე და მიმდებარედსარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა მისაღებია;

ბ) ქალაქ თბილისში, სოფელ დილომში, გრიგოლ ხანძთელის ქუჩის IV ჩიხი N8- ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.022.192) მიმდებარედარსებულ ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 9 სექტემბრის N01212522800წერილის მიხედვით, მოთხოვნილი ცვლილებით მოხდება ფუნქციური ზონირების ფაქტობრივ მდგომარეობასთან შესაბამება და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) აღნიშნულ მონაკვეთზე ცვლილება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების პროცესში დაბრკოლებას არ შექმნის. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ დილომში, გრიგოლ ხანძთელის ქუჩის IV ჩიხი N8-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.022.192) მიმდებარედარსებულ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება მისაღებია;

გ) ქალაქ თბილისში, მარკ ბრონშტეინის ქუჩა N39-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.17.002.125) მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება. N01.11.17.002.125 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული გრაფიკული ნაწილის რუკის მიხედვით, ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა (სზ), ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1). საპროექტო ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.11.17.002.125) ფაქტობრივი მდგომარეობით განთავსებულია ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი და განვითარებულია საცხოვრებელი ზონის (სზ) ფარგლებში. ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვისა და მოთხოვნილი სახით ზონის ცვლილების შემდგომ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილ - რუკაში დარჩენილი ხარვეზის არმოფხვრის მიზნით ხორციელდება N01.11.17.002.125 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე და მის ჩრდილოეთით სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საზღვრამდე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება. წინამდებარე დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, მარკ ბრონშტეინის ქუჩა N39-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.17.002.125) და მის მიმდებარედ სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება მისაღებია.

№12-032126324-03 20.09.2021;

ა) ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N6, უნივერსიტეტის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვეთი 08/067) არსებულ მიწის ნაკვეთებსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.14.06.008.289; N01.14.06.008.310; N01.14.06.008.309; N01.14.06.008.067) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. საპროექტო ტერიტორიაზე, „ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N6, ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვეთი 08/067) არსებულ მიწის ნაკვეთებსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.14.06.008.289; N01.14.06.008.310; N01.14.06.008.309; N01.14.06.008.067) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის N408 განკარგულება ადგენს ტერიტორიაზე ფუნქციურ ზონებს და სხვა საწირო ინფრასტრუქტურას. მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილებით გამოწვეული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება განაშენიანების რეგულირების გეგმის არეალს მიღმა სპეციალური ზონა 1-ის (სპეც-1) სპეციალური ზონა 2-ით (სპეც-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N6, უნივერსიტეტის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვეთი 08/067) არსებულ მიწის ნაკვეთებსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: N01.14.06.008.289; N01.14.06.008.310; N01.14.06.008.309; N01.14.06.008.067) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული

განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად და მიმდებარე ტერიტორიაზე, სპეციალური ზონა 1-ის (სპეც-1) სპეციალური ზონა 2-ით (სპეც-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღება;

ბ) ქალაქ თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.21.06.859; N81.21.06.906) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. საპროექტო ტერიტორიაზე, „ქ. თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2013 წლის 24 ივლისის N1589 განკარგულებით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის N418 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, რომელიც, ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.21.06.859; N81.21.06.906) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღება;

გ) ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მ/რ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.02.009.032; N01.14.02.009.033) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. საპროექტო ტერიტორიაზე, “ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მ/რ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.02.009.032; N01.14.02.009.033) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის N417 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე წარმოდგენილი 2021 წლის 19 ივლისს N012123914-67 (N01212258-67; N012120018-67) განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად, რომელიც ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე ადგენს ფუნქციურ ზონებსა და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის IV მ/რ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.02.009.032; N01.14.02.009.033) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღება. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკის ფენით არსებული შიდაკვარტალური (ურბანული) გამწვანების ფენის მოხსნაც;

დ) ქალაქ თბილისში, კრწანისის I ჩიხი, N2ა; ქალაქი თბილისი, რესპუბლიკურ თვალის კლინიკასა და კრწანისის II ჩიხს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები: N01.18.06.018.053; N01.18.06.018.053) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. საპროექტო ტერიტორიაზე, „ქალაქ თბილისში, მთაწმინდა-კრწანისის რაიონში, რესპუბლიკურ თვალის კლინიკასა და კრწანისის II ჩიხს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობის ქალაქგეგმარებითი პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2005 წლის 2 დეკემბრის N20/709 ბრძანებით

შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 სექტემბრის N420 განკარგულებით მიღებულ დამტკიცებულ იქნა განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, რომელიც, ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, კრწანისის I ჩიხი, N2ა; ქალაქი თბილისი, რესპუბლიკურ თვალის კლინიკასა და კრწანისის II ჩიხს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები: N01.18.06.018.053; N01.18.06.018.053) ფუნქციური ზონის ცვლილება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

12-032126621-03 – 23.09.2021

ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N15ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.04.030.048) მოთხოვნილია სპეციალური ზონა 1-ის (სპეც-1) საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2- ით (სსზ-2) ცვლილება. ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე გაცემულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები მულტიფუნქციური შენობის (საგანმანათლებლო, სამეცნიერო, სამედიცინო და ასევე საქალაქო ინფრასტრუქტურის მომსახურების ფუნქციის) ასაშენებლად. ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს საზოგადოებრივ ფუნქციებთან ერთად საცხოვრებელი ფუნქციის შეტანა. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2021 წლის 20 სექტემბრის N61- 01212634500 წერილის მიხედვით N01.14.04.030.048 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ გაცვლის ფორმით პრივატიზებულ ქონებას, რომლის საბაზრო ღირებულებამ გაცვლის მომენტისთვის, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2020 წლის 06 მარტის N001601620 ექსპერტის დასკვნის შესაბამისად შეადგინა 1.885.377 (ერთი მილიონ რვაასოთხმოცდახუთი ათას სამასსამოცდაჩვიდმეტი) ლარი. აღნიშნული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება იმ დაშვებით, რომ მიწის ნაკვეთის ფუნქციურ ზონად განსაზღვრულია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის 13 სექტემბრის N006445621 ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად შეადგინა 6.231.246 (ექვსი მილიონ ორასოცდათერთმეტი ათას ორასორმოცდაექვსი) ლარი. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქონების მართვის სააგენტო არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს N01.14.04.030.048 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე სპეციალური ზონა 1-ის (სპეც-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება იმ შემთხვევაში, თუ უძრავი ქონების მესაკუთრის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ განსაზღვრულ ვადაში გადახდილი იქნება ფასთაშორის სხვაობა - 4.345.869 (ოთხი მილიონ სამასორმოცდახუთი ათას რვაასსამოცდაცხრა) ლარის ოდენობით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N15ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.04.030.048) სპეციალური ზონა 1-ის (სპეც-1) საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება მისაღებია ფასთაშორის სხვაობის გადახდის პირობით. ფუნქციური ზონის ცვლილება ძალაში შევიდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების ამოქმედებიდან 1 (ერთი) წლის ვადაში ფასთაშორის სხვაობის გადახდისთანავე

*აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების პროექტი*

*„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის 11 წინადადება და არეალების რუკაზე შესატანი ცვლილება გამოთქმული შენიშვნით გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.*

4. დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კილომეტრზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ N:01.72.14.013.606; N01.72.14.013.607) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 10 ივნისის N160 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032125235-03 09.09.2021)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ოთარ ჩიტიმემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, აღმაშენებლის ხეივანის მე-13 კილომეტრზე, გივი კვიციანი ქ. N13ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.013.646), ფართობი: 19 980 კვ.მ. მიმდებარე ტერიტორია განაშენიანებულია ძირითადად საცხოვრებელი ფუნქციის შენობებით. მიწის ნაკვეთი აღმაშენებლის ხეივანთან პირდაპირაა დაკავშირებული ენუქიმის და კვიციანის ქუჩებით, საიდანაც გააჩნია სატრანსპორტო წვდომა. საპროექტო ტერიტორია განაშენიანებულია „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კილომეტრზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ N:01.72.14.013.606; N01.72.14.013.607) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 10 ივნისის N160 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, სასაწყობე და საოფისე შენობებით, არსებული ფუნქციური ზონირების ფარგლებში. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1) და სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1). გამწვანებული ტერიტორიების რუკით ნაწილობრივ ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1). წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტით იგეგმება შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მცირედი ცვლილება. კერძოდ, იცვლება მხოლოდ შენობა #9 საწყობის ფართობი. მისი გაფართოება მოხდება აღმოსავლეთით და გაუსწორდება შენობა #4 საწყობის აღმოსავლეთ ფასადს. ასევე, შეიცვლება შენობა #9 საწყობის შესასვლელი და გამოსასვლელი კარების მდებარეობა და განთავსდება სამხრეთ ფასადის შუაში. ასევე, განისაზღვრა ტერიტორიის შემდგომი განვითარებისთვის არსებული შენობების მიმდებარედ თავისუფალ სივრცეებზე ახალი სასაწყობე შენობებისთვის განთავსების არეალები. (N8, N10, N11 შენობების განაშენიანების რეგულირების გეგმის ალბომის ესკიზის მიხედვით). შენობების განაშენიანების (კ-1) ჯამური ფართობი: 9 262.2 კვ.მ. აქედან: სასაწყობე შენობები: 8818.4 კვ.მ, საოფისე შენობები: 372.3 კვ.მ, დამხმარე შენობა-ნაგებობა: 71.5 კვ.მ. საპროექტო კოეფიციენტები შეადგენს შემდეგს: სამრეწველო ზონა 1 (ს-1) კ1 - კ2 - კ3- 0.1 სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) კ1 - 0.2 კ2 - კ3 - 0.8 შენობა-ნაგებობების მაქსიმალური სიმაღლე - 13 მ / 3 სართული. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2021 წლის 7 სექტემბრის N01212501150 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტის დამტკიცების წინააღმდეგი. ცვლილების ინტენსივობიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში არ განხორციელებულა.

*აღნიშნულის გათვალისწინებით, კომისია მიზანშეწონილად თვლის „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კილომეტრზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ N:01.72.14.013.606; N01.72.14.013.607) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 10 ივნისის N160 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტის დამტკიცების საკითხი (საქმე №12-032125235-03 09.09.2021წ; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე [www.ms.gov.ge](http://www.ms.gov.ge) რეგისტრირებული განაცხადი N01210603192-67 (N0121131878-67; N01211873550-67; N01211903531-67; N0121243748-67)) გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.*

5. ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, სოფელ წაგვისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.02.13.431; N81.02.19.749; N81.02.13.432; N81.02.13.433; N81.02.13.435; N81.02.19.754; N81.02.13.695; N81.02.13.852; N81.02.13.851; N81.02.13.845; N81.02.19.748) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს №12-032125234-03 09.09.2021)

საკითხი წარმოადგინა ს.ს.ი.პ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსმა ოთარ ჩიტაძემ. მისი თქმით, საპროექტო ტერიტორიამდებარეობს ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წაგვისში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N81.02.13.431; N81.02.19.749; N81.02.13.432; N81.02.13.433; N81.02.13.435; N81.02.19.754; N81.02.13.695; N81.02.13.852; N81.02.13.851; N81.02.13.845; N81.02.19.748). საერთო ფართობი 28 558 კვ.მ. ტერიტორია წარმოადგენს გაუნაშენიანებელ არეალს, არსებული რელიეფი ქანობიანია. ტერიტორიაზე გადის 81.00.16 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობა. საპროექტო ტერიტორიას სატრანსპორტო წვდომა აქვს ორი მხრიდან, ჩრდილოეთის მხრიდან უკავშირდება ნასახლარის ქუჩას, ხოლო აღმოსავლეთის მხრიდან თბილისი კოჯრის ქუჩას. „ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, სოფელ წაგვისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტროკოდი: N81.02.13.851; N81.02.13.845; N81.02.19.748; N81.02.19.749; N81.02.13.432; N81.02.13.431;N81.02.13.433; N81.02.13.435; N81.02.19.754; N81.02.13.695; N81.02.13.852) ინდივიდუალურისაცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივლისის N290 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა (რზ), გამწვანებული

